პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ.თბილისი 17.10.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ლიანა ზამბახიძე - საჯარო სამართლის კორპორაციის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს სხდომის მდივანი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი (Delloitte).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ანა ლელაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ შენგელია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ზვიად არძენაძე - შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის იურისტი;
2. რევაზ ბიწკინაშვილი - შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის წარმომადგენელი;
3. ეკატერინე როსიკაშვილი - შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი;
4. დანიელ დავითაშვილი - შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის წარმომადგენელი, პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
5. მზია ბაკურიძე - შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
6. რევაზ უჯუნაძე - შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორი;
7. ინგა შალამბერიძე - შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

8. ალექსანდრე ქასრაშვილი - ა(ა)იპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელი სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
9. გიორგი ნატროშვილი - ა(ა)იპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელი სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის კონსულტანტი;
10. აკაკი მუმლაძე - შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტის დირექტორი;
11. მაია ჩქვანავა - შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. ლელა ბიწაძე - შპს „პროფიუნიტის" სასწავლო პროცესებისა და პროგრამების კოორდინატორი;
13. სალომე სიორდია - შპს სიოს დირექტორი;
14. ნანული ზარიძე - შპს პროფესიულ კოლეჯ მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიის დირექტორი;
15. გენადი ცქვიტაია - შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის დირექტორი;
16. ნინო ფიფია - შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის ხარისხის მართვის მენეჯერი;
17. ვლადიმერ ჭანია - შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
18. ვახტანგ ჭანია - შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
19. ნანა ხიზანიშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის დირექტორი;
20. ნაზი წიბლიაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის მოწვეული სპეციალისტი;
21. თეა ლილუაშვილი - შპს ბარაკონის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
22. ნინო ბოკერია - შპს ბარაკონის დირექტორის მოადგილე;
23. ზურაბ აბაშიძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ XXI საუკუნის დირექტორი;
24. მანანა ქედაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ XXI საუკუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტი):
შორენა ჯაფარიძე;
მაყვალა დარსანია;
მარიამ ხუციშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
თამარ ვალიშვილი;
თამარ რემიშვილი;
ეკატერინე გიგაშვილი;
ეკა ლუაშვილი;
ქეთევან ჯანელიძე;
ნატალია ბარათელი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:25 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.თავმჯდომრემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს პროფიუნიტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
6. შპს სიოსთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
7. შპს პროფესიულ კოლეჯ მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
8. შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
9. შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
10. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
11. შპს ბარაკონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
12. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ XXI საუკუნისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ 2014 წლის 29 აგვისტოს, როდესაც განიხილეს სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდისა და სსიპ - პროფესიულ კოლეჯ მოდუსის ავტორიზაციის საკითხები, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ დაწესებულებებს ხარვეზების გამოსასწორებლად მისცემოდა ვადა და ცენტრს მოეხდინა გადამოწმება. ქეთევან ჯაყელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს მოესმინა ცენტრის პოზიცია. საბჭოს ერთხმად გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - პროფესიულმა კოლეჯმა მოდუსმა, საბჭოს მითითების საფუძველზე ცენტრში წარმოადგინა ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა წარმოდგენილი კორესპონდენცია და ხარვეზები იყო გამოსწორებული. რაც შეეხება სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტს, შემოწმება განხორციელდებოდა უახლოეს მომავალში და საბჭოს შემდგომი სხდომისთვის აღნიშნული საკითხი იქნებოდა განხილული.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრს შუამდგომლობა არ ჰქონდა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ. ექსპერტმა ჩამოთვალა ის შენიშვნები, რომლებიც დაფიქსირდა ვიზიტის განხორციელების დროს.

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 პროგრამებში მოცემული შეფასების სისტემა ნაწილობრივ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს".

1.2 ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ წარმოუდგენია მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის და ოფისის მენჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები.

1.3 სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამებით და შესაბამისი პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. წარმოდგენილ პროგრამებში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა იწყებოდა სწავლების პირველი კვირდან თეორიული კურსების პარალელურად, როცა პროფესიული სტუდენტი ჯერ არანაირ თეორიულ ცოდნას არ ფლობდა, ამიტომ, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის პროცესში ვერ განახორციელებდა თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებას და პროფესიული სტანდარტითა და პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპეტენციების შეძენას.

1.4 თეორიული სასწავლო კურსები და სასწავლო პრაქტიკა ერთი სილაბუსით იყო წარმოდგენილი. სილაბუსებში ამ ორ პრინციპულად განსხვავებულ კომპონენტს ჰქონდათ საერთო წინაპირობა, თემატიკა, მიზნები, შედეგები, სწავლების და შეფასების მეთოდები. ექსპერტების აზრით, „გაერთიანებული" სილაბუსების ზემოაღნიშნული კომპონენტები არ შეესაბამებოდა სასწავლო პრაქტიკის შინაარსსა და სპეციფიკას.

1.5 საწარმოო პრაქტიკის სილაბუსების წინაპირობაში მითითებული იყო: „სწავლების წინა ეტაპებზე შესასწავლი სასწავლო კურსები", რაც ბუნებრივია ვერ იქნებოდა შესრულებული, ვინაიდან წარმოდგენილ პროგრამებში საწარმოო პრაქტიკის განხორციელება და თეორიული საგნების შესწავლა ერთდოულად იწყებოდა, ხოლო „გაერთიანებული" სილაბუსები წინაპირობის გარეშეა, მაშინ როდესაც სასწავლო პრაქტიკა თეორიულ ცოდნას უნდა დაყრდნობოდა.

1.6 სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდოლოგია ვერ უზრუნველყოფდა პროგრამებით და შესაბამისი პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: თითქმის ყველა სილაბუსში, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბულების ჩათვლით, გამოიყენებოდა

იდენტური სწავლების მეთოდები, კერძოდ: ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული მეთოდები. სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები, ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ საწავლო კურსების სპეციფიკას და თავისებურებებს და შეუსაბამო იყო სასწავლო კურსის შინაარსთან.

1.7 შეფასების შემოთავაზებული მეთოდოლოგია არ იყო კარგად გააზრებული, არ ითვალისწინებდა სხვადასხვა სასწავლო კომპონენტების თავისებურებებს და სასწავლო კურსების სპეციფიკას. სასწავლო კურსების თითქმის ყველა სილაბუსში (უცხო ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გარდა) სტუდენტთა მიღწევების შეფასება სრულიად იდენტური იყო და მოიცავდა შემდეგ კრიტერიუმებს: აქტივობა (ფასდებოდა სასწავლო პრაქტიკისას დასმული კითხვებით და საკითხის განხილვის და გადაწყვეტის პროცესში ჩართულობის ხარისხით.) პრეზენტაცია (ფასდებოდა აუდიტორიასთან „კომუნიკაბელობის" (როგორც სჩანს, იგულისხმებოდა „კომუნიკაცია") და დავალების შესრულების ხარისხით. შუალედური და დასკვნითი გამოცდა – შეფასება ხდებოდა პრაქტიკული საკითხების შესრულების ხარისხით: („საკითხის დასმა და გადაწყვეტა ზუსტი და ამომწურავია. პროფესიული სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს, საფუძვლიანად აქვს ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული განვლილი მასალა. ტერმინოლოგია ზუსტია."). აღსანიშნავია, რომ „გაერთიანებულ" სილაბუსებში კრიტერიუმებით ფასდებოდა, როგორც თეორიული კომპონენტი, ასევე სასწავლო პრაქტიკა.

1.8 სასწავლო პრაქტიკის შემთხვევაშიც შეფასების მეთოდოლოგია არა იყო კარგად გააზრებული, არ ითვალისწინებდა პროგრამების სპეციფიკას და შედეგად ვერ ჩაითვლებოდა ვალიდურად, რადგან შემოთავაზებული შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით შესაძლებელია კოგნიტური უნარების შეფასება და არა პრაქტიკული კომპეტენციების.

1.9 სილაბუსების დიდ ნაწილში სასწავლო კურსებზე გათვალისწინებული დამოუკიდებელი საათების რაოდენობა გაუმართლებლად დიდი იყო და ბევრად აღემატებოდა ლექციებზე განკუთვნილი საათების ოდენობას.

1.10 სასწავლო პრაქტიკაში არ იყო გათვალისწინებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათები. ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილი იყო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სახით, პროგრამის შესაბამის ნაწილში მითითებული იყო პრაქტიკის კომპონენტის საათების ჯამური რაოდენობა - 600 საათი. სასწავლო გეგმის მიხედვით 600 საათი შემდეგნაირად ნაწილდებოდა - საწარმოო პრაქტიკა -125 საათი (აქედან 4 საათი - შუალედური და დასკვნითი გამოცდა), ხოლო სასწავლო პრაქტიკა - 475 საათი, რომელშიც არ შედიოდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის საათები ანუ პრაქტიკის საათების ჯამურ რაოდენობაში (600 საათი) არ შედიოდა სასწავლო პრაქტიკის შეფასების საათები. სასწავლო პრაქტიკაზე საათების ამგვარი გადანაწილება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის შესაბამისადაც პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავდა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას. ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა პროგრამების შემთხვევაშიც.

1.11 სასტუმრო მართვის საერთაშორისო პროგრამა, რომლის შესწავლა გათვალისწინებული იყო სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროგრამის სასწავლო კურსის ფარგლებში - „დაჯავშნის კომპიუტერული სისტემა", არ გააჩნდა არც დაწესებულებას და არც პრაქტიკის ობიექტებს, რომლებიც გადამოწმებულ იქნა ვიზიტის დროს. დაწესებულებამ წარმოადგინა

დოკუმენტაცია ელექტრონული პროგრამის - „ტურისტული სააგენტოს მართვის პროგრამა“ ფლობის შესახებ, პროგრამა ინსტალირებული არ იყო. თუმცა აღნიშნული პროგრამის თანდართული დოკუმენტები მეტყველებს, რომ პროგრამა არ მიეკუთვნებოდა სასტუმროს მართვის საერთაშორისო პროგრამების რიცხვს. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები აღნიშნული მიმართულებით ვერ შეიძენდნენ სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ ცოდნასა და კომპეტენციებს.

1.12 მეხუთე საფეხურის სასტუმრო საქმისწარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „დაშვების წინაპირობაში“ მითითებული იყო, რომ პროგრამის კომპონენტის აღიარება შესაძლებელი იყო არაფორმალური განათლების აღიარების გზით, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესის“ მე-2 მუხლს, რომლის შესაბამისად „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.“

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება შინაარსისა და მოცულობიდან გამომდინარე ადგილზე ვერ მოხერხდებოდა. ვიზიტის პერიოდში გამოსწორდა შემდეგი სახის უზოსტობა: ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია წარმოდგენილი იყო - „ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)-ს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, მაშინ როდესაც შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილია შემდეგი კვალიფიკაციის დასახელება - „ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია: აღნიშნული უზუსტობა გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის მფლობელობაშია 444.87 კვ. მ. ფართი მისამართზე - ყუშიტაშვილის ქ. N16ა. ამონაწერში საჯარო რეესტრიდან მითითებული იყო, რომ ფართის მფლობელს - ჯულიეტა ალავიძეს, რომელიც, ამავე დროს, იყო შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის დირექტორი, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული და გადაცემული ჰქონდა 444.87 კვ. მ. ფართი შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიისთვის. თუმცა, რეალურად, შენობის მთლიანი ფართობი შეადგენდა 835.36 კვ. მ-ს და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარი, სასწავლო ოთახები და აუდიტორიები განთავსებული იყო მთლიან შენობაში. შესაბამისად, ვერ დგინდებოდა, ამ შენობის რა ნაწილი მოიაზრებოდა აღნიშნულ 444.87 კვ. მ-ში.

2.2 მცირე ბიზნესის მწარმოებლისა და ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) პროგრამებისთვის პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილი არ იყო.

2.3 ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს საწარმოო პრაქტიკის ყველა ობიექტი, რის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- შპს საგამომცემლო სახლი ქართული ელიტის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა მემორანდუმით გათვალისწინებული სასტუმრო საქმისმწარმოებლის მიმართულებით სტუდენტების საწარმოო პრაქტიკას, თუმცა დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მას შეეძლო მცირე ბიზნესის მწარმოებლის და ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) სპეციალობის პროფესიული სტუდენტების მიღება საწარმოო პრაქტიკაზე, რადგან ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება, „საერთაშორისო ტურიზმის აკადემია“-ის სტუდენტებიც (დაწესებულების ავტორიზებული

სტატუსის პერიოდში) გადიოდენ პრაქტიკას, რამდენიმე სტუდენტი შემდგომში დასაქმდა აღნიშნულ დაწესებულებაში და დირექტორმა დადებითან დაახასიათა ისინი.

- დანარჩენი სამი ობიექტი მცირე ზომის სასტუმროებს წარმოადგენდა. შპს მეგზური არტ-გალერეას ხელმძღვანელობა ადგილზე არ იყო, შესაბამისად ინფორმაცია საწარმოო პრაქტიკის აღნიშნულ სასტუმროში გავლის თაობაზე ვერ იქნა მოპოვებული. შპს ვეძისის და სასტუმრო სახლი „საქართველოს", წარმომადგენლებმა დაადასტურეს პროფესიული სტუდენტების მიღების მზაობა, რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას შპს ვეძისს შეუძლია საწარმოო პრაქტიკაზე ერთდროულად 1 ან 2 სტუდენტის მიღება, ხოლო სასტუმრო სახლ „საქართველოს" – 10 მდე.
- ექსპერტებმა გაარკვიეს შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნულ სასტუმროებში მცირე ბიზნესის მწარმოებლის და ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მიმართულების პროფესიული სტუდენტების მიღება, რაზეც დადებითი პასუხი იყო გაცემული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო სამედიცინო პუნქტის დებულება, რომლის მიხედვითაც სამედიცინო და სანიტარულ - ჰიგიენური პროცესის დაცვას უზრუნველყოფდა ექიმი. აღნიშნულ პოზიციაზე ხელშეკრულება გაფორმებული იყო შორენა მამნიაშვილთან, რომლის პირადი საქმითაც დასტურდებოდა, რომ მას მინიჭებული ჰქონდა მედდის კვალიფიკაცია და არა ექიმის.

3.2 სასტუმროს საქმისმწარმოებლის პროფესიული სტანდარტით პრაქტიკის მასწავლებლისადმი წამოყენებული მოთხოვნებია: დიდ სასტუმროში პრაქტიკოს მენეჯერად მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება ან/და სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV (I – III საფეხური) და V (IV – V საფეხური) საფეხურის პროფესიული დიპლომი. კოლეჯის მიერ შემუშავებულ სასტუმროს საქმისმწარმოებლის პროფესიულ პროგრამაში თეორიულ კურსებს თან ახლავს სასწავლო პრაქტიკა. აღნიშნული სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების და საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლების (მაია მახათაძე, ვალერი არღუთაშვილი) პირადი საქმეების შესწავლით სტანდარტით მოთხოვნილი კვალიფიკაციები არ დასტურდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რომ მომხდარიყო მკაფიო მინიშნება, წარმოდგენილი შენიშვნებიდან, რომელია ხარვეზი და რომელია უბრალო რეკომენდაცია, რომელიც ადგილზევე გამოსწორდა და ნება დართო დაწესებულების წარმომადგენლებს, გამოეთქვათ საკუთარი აზრი ზემოთ დასახელებულ შენიშვნებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დენის დავითაშვილმა ითხოვა, რომ არ გაეწყვეტებინათ მისთვის სიტყვა და ბოლომდე გამოეთქვა საკუთარი აზრი. საბჭოს თავმჯდომარემ ამ საკითხზე განუმარტა, რომ მოპასუხე მხარისთვის სიტყვა არასდროს გაუწყვეტინებიათ, მაგრამ საბჭოს სხდომას ჰქონდა თავისი რეგლამენტი და აუცილებელი იყო მისი დაცვა.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ თხოვნით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ ესაუბრა საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საწარმოო პრაქტიკა ყველა პროგრამაში გათვალისწინებულ იყო სწავლის ბოლო ეტაპზე, კერძოდ იმ პროგრამებში, რომლებიც უშუალოდ პროფესიულ კომპეტენციებს უზრუნველყოფდა. თეორიული ცოდნა მისი განცხადებით წარმოადგენდა პრაქტიკის საფუძველს, რათა მიღებულ იქნას შედეგი. სილაბუსის მიხედვით, პირველ კვირაში საათობრივი დატვირთვა შემდეგნაირად იყო განაწილებული: ლექცია - 1 საათი და სასწავლო პრაქტიკა - 3 საათი.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, თუ რა მოიაზრებოდა კვირაში 1 ლექციაში და 3 პრაქტიკაში. აქვე საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო ცალ-ცალკე გაკეთებულიყო თეორიული და პრაქტიკული სილაბუსები პროგრამის უფრო მარტივად აღსაქმელად.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ცენტრს, რომ ექსპერტთა დასკვნებთან ერთად, მიეწოდებინა დანართები საბჭოს წევრებისათვის, რაზეც ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა რომ დანართები ზოგადად იყო საკმაოდ დიდი მოცულობის და რთული იქნებოდა მათი ელექტრონული ვერსიტბის შექმნა და ელექტრონლ მატარებლებზე ატვირთვა. ლაშა მარგიშვილმა აქვე დაამატა, რომ საბჭოს წევრებს სურვილის შემთხვევაში შეეძლოთ ცენტრში გაცნობოდნენ დანართებს.

წარმომადგენლის განცხადებით სასტუმროების 99% იყენებდა არა ამადეუსის პროგრამას, არამედ შიდა ბუქინგ ჰოტელის პროგრამას, რისი დაფიქსირებაც წარმომადგენლის განცხადებით როგორც ჩანდა გამორჩა ექსპერტს. წარმომადგენელმა ასევე განაცხადა რომ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება რამოდენიმე ტურისტულ სააგენტოსთან, სადაც სტუდენტები გაივლიდნენ პრაქტიკას და შეისწავლიდნენ ამადეუსის პროგრამის მოხმარებას, ხოლო ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში აღნიშნული პროგრამები ექნებოდათ ადგილზეც.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, შენობის რა ნაწილი მოიაზრებოდა 444 კვ. მეტრში, ვინაიდან არსებობდა ორი სართული და წარმოდგენილ იქნა 2012 წლის მარტის საბუთი, სადაც ექსპერტი მიუთითებდა, რომ სასწავლო აუდიტორიები და სიმულაციური ოთახები იყო განათავსებული პირველ სართულზე და არსებობდა დამატებითი ფართი რომელიც უზურფრუქტით იყო გადაცემული. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ფართი უზურფრუქტის ხელშეკრულებით ჰქონდა გადაცემული, ხოლო შენობის დარჩენილი ფართობი წარმოადგენდა დამხმარე ფართს.

ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მათ ყავდათ ორი პედაგოგი რომელთაც გააჩნდათ მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება ჰოლიდეი ინნში, ქორთიარდ მერიოტში, გააჩნდათ მაგისტრის, დოქტორის ხარისხი. შესაბამისად, დასკვნაში მითითებული შენიშვნა, რომ მათ არ ჰქონდათ 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება აღნიშნულ დაწესებულებაში არ იყო მართებული, რადგან მათ გააჩნდათ სათანადო კვალიფიკაცია და 15 წლიანი მუშაობის გამოცდილება მითითებულ სფეროში.

საბჭოს წევრის მამია ჯანჯალიას განცხადებით, არსებობდა ხარვეზი სტანდარტრში, ვინაიდან საწარმოო პრაქტიკის განსახორცილებლად მენეჯერს უნდა გააჩნდეს 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, ხოლო ასეთი პიროვნება იშვიათად თუ მოიცლდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამუშაოდ.

საბჭოს წვრის, მაია ჩიხლაძის განცხადებით, პრობლემა ასევე მდგომარეობდა იმაში რომ არ არსებობდა ,,დიდი სასტუმროს" დეფინიცია, რაც თავისთავად წარმოადგენდა პრობლემას. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ აღნიშნული გამოცდილების მქონე პირები უძღვებოდნენ შესაბამის პროფესიულ პროგრამაში საწარმოო პრაქტიკას, მათ ჰქონდათ შესაბამისი გარემო და რესურსები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული და საბჭოს წევრებს წარუდგინეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 200-ით.

დაწესებულების წარმომადგენელის, დანიელ დავითაშვილის განცხადებით, ექსპერტებმა ბევრი იშრომეს აღმოჩენილ იქნა ხარვეზები რომლის უმეტესობა ადგილზე გაბათილდა. მისი

თქმით, დასკვნის დიდი ნაწილი მიუთითებდა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა სტანდარტებს. ასევე სასწავლო პროგრამებთან დაფიქსირებული ხარვეზი, რომლებიც ეხებოდა საათების გადანაწილებას, წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას. დანიელ დავითაშვილის განცხადებით, პროფკავშირი 6 წევრ კოლეჯს ითვლიდა. მისი თქმით, არსებობდა საბაზისო მოთხოვნები კოლეჯების წინაშე და კერძო სექტორის დაფინანსების შედეგად არ წარმოადგენდა სირთულეს მოცემული სტანდარტების დაკმაყოფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ წევრებმა მსჯელობისა და აზრთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადაწყვიტეს, რომ შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიისთვის მინიჭებოდა ავტორიზაცია, მაგრამ ამავდროულად, საბჭო აუცილებელ პირობად აწესებდა ოქმის ხელმოწერიდან 2 კვირის ვადაში დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორებას.

ქეთევან ჯაყელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აღნიშნულ ვადაში უნდა აღმოეფხვრა სასწავლო პროგრამებში არსებული შეუსაბამობები. კერძოდ, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სილაბუსების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მკაფიო გამიჯვნა სწავლის მეთოდების, თემატიკის, შეფასების ინსტრუმენტების გათვალისწინებით. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების გადამოწმების მიზნით მონიტორინგი განხორციელებულიყო ოქმის ხელმოწერიდან 2 კვირის ვადაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულ შენიშვნებს და ყველა მათგანი იქნებოდა გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიას (ს/კ: 400097658) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

2. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა მაყვალა დარსანიამ. მან ჩამოთვალა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურდა დაწესებულებას - ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; კბილის ტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების პროგრამა მე-3 საფეხურის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტის თქმით, პროგრამები დამტკიცებული იყო უფელებამოსილი პირის მიერ, პუნქტები გაწერილი იყო სტანდარტების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამებს თან ახლდა სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები). ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფის მიერ გადამოწმდა სამივე სტანდარტი, რომლებიც შესაბამისობაში იყო დადგენილ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამებისა და თანდართული სილაბუსების გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა უზუსტობები, რომლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განემარტა დაწესებულების წარმომადგენელს, მათ მიერ გათვალისწინებულ იქნა შენიშვნები და ვიზიტის მსვლელობისას წარმოადგინეს შენიშვნის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები. შენიშვნები იყო შემდეგი შინაარსის:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიულ სტანდარტში დამატებით მოთხოვნებში ვკითხულობთ - პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება, თუმცა წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამაში ეს არ იყო ასახული;

1.2 ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსში ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია საკითხები ჩაშლილი იყო საგნის სათაურის შესაბამისად, თუმცა გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებული იყო სახელმძღვანელოს დასახელება შეცდომით.

1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში ,,ინფორმატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები'', ,,ინგლისური ენა'' - გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია საიტები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა კატალოგი, სადაც მოცემული იყო სტანდარტების შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული

განათლების აღიარებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური ბაზა, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. კერძოდ, დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულებით ჰქონდათ აღებული ბათუმში მდებარე 410 კვ. მ. ფართი, რომელიც განთავსებულია ონკოლოგიური ცენტრის მე-4 და მე-5 სართულებზე. ხელშეკრულება დადებული იყო 01.09.2017 წლამდე. შენობის მეოთხე სართულზე მდებარეობდა ასევე სხვა ფართები, რომელიც მეიჯარის კუთვნილებას წარმოადგენდა. ექსპერტმა აქვე დასძინა, რომ დაწესებულებას ადრე ეწოდებოდა შპს „ბათუმის სამედიცინო პედაგოგიური კოლეჯი", რომელიც ფიქსირდება საიჯარო ხელშეკრულებაში. რეორგანიზაციის შემდეგ იგი გადაკეთდა „შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიად", საიდენტიფიკაციო კოდის ცვლილების გარეშე. ექსპერტის თქმით, სასწავლო ფართი აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით. დაწესებულებაში, ჯანდაცვის პროფილიდან გამომდინარე, იყო ექთნის თანაშემწისა და კბილის ტექნიკოსის კაბინეტები, შესაბამისი ინვენტარით.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთი პედაგოგი ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაწესებულებისაგნ, რომ დაედასტურებინათ კვალიფიკაცია, რაც ვერ მოხერხდა ვიზიტის დროს, პედაგოგოს საქართველოში არ ყოფნის გამო. მოგვიანებით დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა წერილი, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული პედაგოგი ჩაანაცვლა სხვა პიროვნებით, რომლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან ახლდა ცენტრში შემოსულ კორესპოდენციას.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა, რომელ ენაზე იყო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ლიტერატურა, მან ხაზი გაუსვა იმ პრობლემურ საკითხს, რომ ხშირ შემთხვევაში ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურ ენაზეა და ერთი ეგზემპლარია, რაც სტუდენტებისათვის, როგორც წესი არაა ხელმისაწვდომი. რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 1176 დასახელების ლიტერატურა, უმრავლესობა იყო ქართულად და სილაბუსებში მოცემული წიგნები სრულ შესაბამისობაში იყო სასწავლო დისციპლინებთან.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, დაწესებულების მიერ 10 საწარმოო ობიექტთან დადებული მემორანდუმებით. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ბათუმის სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა მათი საკუთრება. დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ჩიხლაძის შეკითხვაზე განმარტა, რომ მათი სასწავლებელი 1992 წლიდან ფუნქციონირებდა და 1995 წლიდან აღნიშნული კლინიკა მათ საკუთრებას წარმოადგენდა. მისი თქმით, ეს პოლიკლინიკა იძლეოდა პრაქტიკის გავლის კარგ შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 150-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას (ს/კ: 245419355) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

3. ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკატერინე გიგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დასკვნა საერთო ჯამში იყო დადებითი. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან. დაწესებულებას კარგად ჰქონდა გაწერილი შეფასების კომპონენტები. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა მატერიალურ და ადამიანურ რესურსზე. მისი თქმით, პროგრამის განხორციელებისათვის არსებობდა მზაობა. დაწესებულების დოკუმენტაცია წესრიგში იყო. მან აქვე აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის განხორციელების დებულებაში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მემორანდუმი. რის შესახებაც განაცხადეს, რომ ავტორიზაციის შემთხვევაში ისინი გააფორმებდნენ სათანადო ხელშეკრულებას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის კარგ ადაპტირებულ გარემოს. კერძოდ, მოძრავი ხის პანდუსები იყო გაკეთებული როგორც შენობის პირველ, ასევე მეორე სართულზე და ადაპტირებული იყო სველი წერტილებიც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ დაწესებულებაში მანამდე შესაძლებელი იყო არაფორმალური განათლების მიღება და ახალგაზრდები სწავლობდნენ თექის დამუშავებას. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა შემდეგი გარემოებები: დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი დოკუმენტურად დადასტურებული იყო; ექსპერტის განცხადებით, ვიზიტისას მათ არ ჰქონდათ შენიშვნები და არც რეკომენდაცია დაწესებულების მიმართ.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, პედაგოგებთან დაკავშირებით, მზად იყო თუ არა დაწესებულება, კვალიფიციური კადრის მოსაზიდად და თუ არსებობდა ფიზიკურად შესაბამისი ადამიანური რესურსი ახალქალაქში. დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა საბჭოს, რომ ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდათ კვალიფიციურ პედაგოგებთან, ასევე, მათ მფლობელობაში იყო პანსიონი, სადაც მოხდებოდა პედაგოგებისა და რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების განთავსება.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივებზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემთხვევაში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი რესურსი. კერძოდ, მემორანდუმი ადგილობრივ ტელევიზიასთან.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინეტრესდა, თუ რატომ არ ფიქრობს დაწესებულება დაიმატოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიც, ვინაიდან მათ ძალიან დიდი და კარგი რესურსი ჰქონდათ ამისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა, რომ სამომავლოდ აპირებენ

დაიმატონ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიც და იმედი აქვთ, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში შეძლებდენ სამომავლო განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 100-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 223366587) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 100-ით.

18:01 საათზე სხდომაზე გამოცხდდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:18 საათზე.

4. შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგრიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა. მან განაცხადა, რომ აღნიშნული კოლეჯი ავტორიზებული იყო 2012 წლიდან და ამჯერად ითხოვდა 3 საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას. კერძოდ, ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მეოთხე საფეხურის , მოლარის (ბანკის და ა.შ) მესამე საფეხურის და საბაჟო წარმომადგენელის (სასაქონლო ოოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, გადამოწმებულ იქნა სამივე პროგრამა. ასევე ამ პროგრამებიდან გამომდინარე ადამიანური და მატერუალური რესურსიც. დაასკვნაში ხარვზები არ იყო დაფიქსირებული. ვიზიტის დროს კოლეჯს არ ჰყავდა სტუდენდეტები. დამატებული პროგრამების ფარგლებში შესწავლილ იქნა 11 პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმე და დადასტურებულ იქნა მათი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ჯაყელი დაინტერესდა, იცვლებოდა თუ არა კოლეჯის პროფილი რაზეც ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა უპასუხა რომ კოლეჯს აქვს მსგავსი პროგრამები და ამ პროგრამების დამატებით კოლეჯი არ ცვლიდა საქმიანობის მიმართულებებს.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ კითხვით მიმართა ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილს კოლეჯის ინფრასტრუქტურის თაობაზე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა რომ იმ რაოდენობის სტუდენტებისთვის, რომელიც ავტორიზაციით განესაზღვრება კოლეჯს ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამებოდა მოცეულ სტანდარტებს.ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა საბაჟო წარმომადგენლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თუ სად განხორციელედებოდა საწარმოო პრაქტიკა, რაზეც ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ კოლეჯს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორანდუმები გაფორმებული ჰქონდა „ჯთ ექსპრეს სერვისთან". დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ყველა ხელშეკრულება და მეომრანდუმი გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასურველი იყო კოლეჯის წარმომადგენლები უფრო მომზადებულები გამოცხადებულიყვნენ საბჭოს სხდომაზე. ვინაიდან საბჭოს წევრებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმის დანახვა, რომ კოლეჯის ხელმძღვანელი ბოლომდე არის გარკვეული იმ საკითხებში, რაზეც მიმდინარეობდა მსჯელობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტისათვის ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტისათვის საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტისათვის მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტს (ს/კ: 404943406) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	IV	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	მოლარის (ბანკის და ა.შ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	მოლარის (ბანკის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

3	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

5. შპს პროფიუნიტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა შპს პროფიუნიტში და ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. დასკვნაში ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ბუღალტრის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულია რომ ბუღალტერს უნდა გააჩნდეს ბიზნეს სამართლის და ეკონომიკის საფუძვლების ცოდნა. პროგრამის გადამოწმებისას აღმოჩნდა რომ ასეთი საკითხები არ შეისწავლება თუმცა ამავე დროს დაფიქსირდა რომ სტანდარტით გათვალისწინებული ისეთი საკითხები როგორიც არის საცდელი ბალანსის შედგენა, საგადასახადო სისტემების ზოგადი პრინციპები და პროცედურები , კომპიუტერული ტექნოლოგიური პროგრამები ისწავლება საფუძვლიანად რაც გარკვეულწილად აღემატება მესამე საფეხურის მოთხოვნებს. სასწავლო პრაქტიკა ითვალისწინებს დამოუკიდებელ საათებს რაც არ არის განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121/ნ ბრძანების შესაბამისად.

1.2 სასწავლო კურსის ინგლისური ენა და საბუღალტრო - ინფორმაციული ტექნოლოგიის დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს საჯარო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული ენის ფლობის დონეს. თუმცა აღნიშნულის შემოწმების მექანიზმი არსად არ იყო გაწერილი პროგრამის მიღების წინაპირობაში. სასკოლო საგნების ცოდნა ვერ იქნება სილაბუსების მიღების წინაპირობა. შეფასების სიტემა იყო მრავალკომპონენტიანი, თუმცა თითოეული შეფასების კომპონენტები არ იყო წვრილად გაწერილი. სილაბუსების ნაწილში ცალკეულ თემებზე გათვალისწინებული საათების ჯამი არ ემთხვეოდა პროგრამაში და სილაბუსების შესაბამის გრაფაში წარმოდგენილ საათების ჯამურ რაოდენობას.

1.3 პროგრამაში არ იყო მითითებული სწავლის ხანგრძლივობა, რთულად დგინდებოდა სასწავლო კურსის გავლის თანმიმდევრობა, განსაკუთრებით სასწავლო პრაქტიკის რისი გარკვევაც მოხერხდა დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების შემდეგ.

1.4 პროგრამაში სწავლის ერთ ერთ მეთოდად მითითებული იყო პროექტი ინდივიდუალური ან ჯგუფური, თუმცა ამის კომპონენტები სილაბუსში არ ჩანდა. სასწავლო პრაქტიკის წინაპირობას წარმოადგენდა ბუღალტერ-მოანგარიშის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სრული ათვისება რაც შეუძლებელი იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებულების

წარმომადგენლმა განმარტა, რომ ეს გახლდათ ტექნიკური შეცდომა და იგულისხმებოდა თეორიული კურსი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურს და ადამიანურ რესურსთან მიმართებით შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმოამდგენლის განცხადებით სილაბუსებში ბეჭდვის პროცესში იყო ამოვარდნილი საათების ჯამთან დაკავშირებეული ნაწილი. ეს ეხებოდა ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ პროგრამაში მითითებული იყო ბიზნეს ეთიკა სამართლის ნაცვლად. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ მოახერხა დასწრებოდა საბჭოს სხდომას, მას შეეძლო ამომწურავად გაეცა პასუხის საბჭოს წევრების ყველა შეკითხვაზე. საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალია დაინტერესდა გადიოდა თუ არა აღნიშნული პროგრამა შედეგზე რაზეც ექსპერტმა განმატრა, რომ პროგრამა შესაბამის სწავლის შედეგზე გადიოდა.

ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა დაწესებულების ადამიანური რესურსი რამდენად აკმაყოფილებდა სტანდარტებს, რაზეც ექსპერტმა დაუდასტურა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა ადამიანური რესურსი და იგი აკმაყოფილებდა სტანდარტებს.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული დაწესებულება ახორციელებდა ისეთ პროგრამებს რომელიც ბევრ პროფესიულ კოლეჯში არ იყო წარმოდგენილი. მაგ: გვირაბგამყვანი, მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგი, ელმავალი მემანქანე, ზეინკალი და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა გარკვეული ტექნიკური შეცდომები, რომელიც შესაძლებელი იყო გასწორებულიყო ისე, რომ პროგრამის არსი არ შეცვლილიყო. ამის საშუალებას იძლეოდა დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფიუნიტისათვის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს პროფიუნიტს (ს/კ: 204436985) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე	30

6. შპს სიოსთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა დასკვნა წარადგინა შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტზე შპს სიოში იმყოფებოდა ავტორიზაციის ექსპერტ თამარ ვალიშვილთან ერთად. დაწესებულება ახორციელებდა სამ საგანმანათლებლო პროგრამას: ექთნის თანაშემწის (მესამე საფეხური), მასაჟისტისა (მესამე საფეხური) და ფარმაცევტის თანაშემწის (მეხუთე საფეხური). ამჟამად დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა. დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი ტიპის შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროგრამით გათვალისწინებული იყო 20-ზე მეტი სასწავლო კურსის შესწავლა, თითოეულ პროგრამაში სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული იყო სწავლები შემდეგი მეთოდოლოგია: ლექცია, (გულისხმობს თეორიული მასალის ახსნას, განმარტებას) და პრაქტიკული მეცადინეობა (იგულისხმება ახსნილ მასალაზე მუშაობა, სიტუაციური მაგალითების განხილვა, დისკუსია და მზადება გამოცდებისათვის). ხოლო შეფასების მეთოდებად მიღებული იყო ტესტი და ზეპირი გამოკითხვა. ექსპერტთა მოსაზრებით, გამოყენებული მეთოდოლოგია სასწავლო კურსების თემატიკა ძირითადად თეორიული ცოდნის მიღებაზე იყო ორიენტირებული და ნაკლებად პრაქტიკული უნარებს გამომიშავებაზე. მაშინ, როდესაც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით და სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი შედეგების თანახმად, პროფესიულ სტუდენტს ცოდნა და გაცნობიერებასთან ერთად უნდა გამოუმუშავდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

1.2 საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ცხრილში წარმოდგენილი, სტუდენტების მიერ ასათვისებელი კომპეტენციები შეფასების ცხრილში გასაგებად არ იყო წარმოდგენილი, პრაქტიკულ მუშაობაზე განსაზღვული ქულების გადანაწილება კომპეტენციების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს ქულათა განაწილების სქემა. ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2014 წლის 25 სექტემბრის №3-18 ბრძანების საფუძველზე, საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში შეტანილ იქნა განმარტება.

2.მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული დართიდან (424 კვ.მ) სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებულია მხოლოდ. ფართის დარჩენილი ნაწილი გასარემონტებელი იყო და ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა ვერ მოახერხეს მისი დათვალიერება. დაწესებლების წარმომადგენლის განმარტებით დარჩენილ ფართი რაიმე მიზნით დატვირთული არ იყო.

დაწესებულების სასწავლო მიზნებისათვის გათვალისწინებულ 258 კვ.მ ფართზე განლაგებული იყო:

1. სასწავლო აუდიტორია - 8 სამადგილიანი მერხით შესაბამისი სკამებით;
2. სასწავლო აუდიტორია - 15 ორადგილიანი მერხით და შესაბამისი სკამებით, ანატომიური პლაკატებით და შინაგანი ორგანოების მულიაჟებით;
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი - კომპიუტერულ მაგიდებზე განთავსებული 6 კომპიუტერით, აქედან 5 ინტერნეტში ჩართული, 7 სამადგილიანი მერხი შესაბამისი სკამებით;
4. ოთახი - დასაწყობებული ინვენტარით, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლის განამრტებით სასწავლო მიზნებისათვის არ გამოიყენებოდა სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო;
5. პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი - სამედიცინო ტახტით, სამედიცინო კარადით, პირველადი დახამრებისათვის საჭირო მედიკამენტებით, და თოჯინით, რომელსაც დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მულიაჟია დანიშნულება ჰქონდა.
6. ადმინისტაციის ოთახი -მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებითა და კომბაინით;
7. ბიბლიოთეკა - მაგიდა 8 სკამითა და კომბაინით;

მატერიალური რესურსების ჩამონათვალი საინვენტარო წიგნის შესაბამისად ექსპერტებმა წარმოადგინეს დანართის სახით.

დაწესებულებას საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორანდუმი გაფორმებული ჰქონდა 4 ორგანიზაციასთან. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული რომელი სპეციალობის პროფესიული სტუდენტის პრაქტიკაზე მიღების ვალდებულებას იღებდა ორგანიზაცია.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საწარმოო პრაქტიკის 3 ობიექტი. კერძოდ, ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის ცენტრი შპს „მეტაკო", კლინიკა „ბომონდი" და კლინიკა „ლჯ". ადგილზე გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტები მზად იყვნენ დაწესებულებასთან თანამშრომლობისათვის ხელშეკრულების შესაბამისად. მათ მზაობა გამოთქვეს პროფესიული სტუდენტების მისაღებად, თითოეულმა არაუმეტეს 5 სტუდენტისა.

ექსპერტთა აზრით, დაწესებულებაში პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად საჭირო მატერიალური რესურსი არ იყო საკმარისი.

2.2 დაწესებულებაში იყო საგანმანათლებლო პროგრამის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ელექტროენერგია მიეწოდებოდა ქალაქის ქსელიდან და ჰქონდა დამოუკიდებელი ელექტრო ენერგიის წყარო - გენერატორი. ასევე დაფიქსირდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალური გათბობის სისტემის არსებობა. დაწესებულებაში არსებობდა ერთი სველი წერტილი, რომელიც ამავდროულად იყო ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სუტდენტისათვის. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულება იგივე შენობაში მდებარე საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან - ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის ცენტრ შპს „მეტაკოსთან", რომლის 1.2 პუნქტის შესაბამისად, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს მიეცემოდათ უფლება ესარგებლათ შენობის დაწესებულების ფართით (300კვ.მ) და მასში არსებული სამედიცინო ინვენტარითა და სველი წერტილებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლით, რაზეც ექსპერტმა განუცხადა, რომ ნახეს რომელიც იყო ექთნის თანაშემწედ დასაქმებული რამდენიმე სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა გამოეთქვა საკუთარი არგუმენტები ექსპერტის შენიშნებთან დაკავშირებით, რაზეც საზოგადოებრივი კოლეჯის სიოს დირექტორმა აღნიშნა, რომ არ დარღვეულა სტანდარტი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანება. პროგრამა არ ითავლისწინებდა სასწავლო პრაქტიკას, პროგრამაში გაწერილი იყო საწარმოო პრაქტიკა რომლის 40% ანუ ის 1500 საათს შეადგენდა. სადაც

მინიშნებული იყო ყველა ბაზა, რომელზეც სტუდენტის ახდენდა პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, ხოლო საერთო საათების 60 % -ით ხდებოდა თეორიული მასალით პროფესიული სტუდენტის მომზადება. დაწესებულებაში ხორციელდებოდა სალექციო კურსები, და გააჩნდა რამდენიმე სპეციფიური სილაბუსი, სადაც ნაჩვენები იყო ცოდნა და გაცნობიერებასთან ერთად ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. დაწესებულებაში განიხილავდნენ ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს , ინფექციურ დაავადებებს და ა.შ. შესაბამისად, თეორიულ სწავლებებთან სამუშაო ჯგუფში ძირითადად იგულისხმებოდა სიტუაციური ამოცანები.

საბჭოს წევრის, მაია ჩილაძის შეკითვაზე დაწესებულების ფართთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელემა განმარტა, რომ სასწავლო პროცესის განსახორციელებლად გამოიყენებოდა 259 კვ.მ. მაგრამ იმისათვის რომ არ დარღვეულიყო სტანდარტის მოთხოვნები კოლეჯს ჰქონდა იგივე მისამრთზე იჯარით აღებული ფართი, რომელიც ამჟამად სასწავლო მიზნებისათვის არ გამოიყენებოდა. საბჭოს წევრი მაია ჩიხლაძე დაინტერესდა კლინიკის ზუსტი ადგილმდებარეობით რაზეც დირექტორმა უპასუხა, რომ მეორე არის ეს კლინიკის საკუთრება, რომელიც გამოიყენება საწარმოო პრაქტიკისათვის.

ექსპერტის განცხადებით ძირითადი შენიშვნა მდგომარეობდა თეორიულ საგნებთან დაკავშირებით, რომელიც ვერ განხორციელდება არსებულ ბაზაზე. ექსპერტმა რეკომენდაცია მისცა დირექტორს, რომ წარმოედგინა ხელშეკრულებები სადაც დაწვრილებით იქნებოდა გაწერილი თითოეული სასწავლო კურსი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის განცხდებით არსებობდა რესურსი ამ პროგრამის განხორციელებისათვის, გააჩნდათ გამოცდილება სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და სწავლის შედეგზე გასასვლელად.

ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად ავიწყდებათ, რომ საქმე ეხება პროფესიული პროგრამას და არა აკადემიურს. პროფესიული პრგორამის მიზანს წარმოადგენდა არა თეორეტიკოსების, არამედ პროფესიონალებს ჩამოყალიბება, შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სიოსათვის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს სიოს (ს/კ: 212797945) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150

7. შპს პროფესიულ კოლეჯ-მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ რემიშვილმა. მან ჩამოთვალა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას, ესენია: მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი პროგრამები აკამაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. დასკვნაში წარმოდგენილი იყო რამდენიმე შენიშვნა, ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირებული, რომელიც ადგილზევე გამოსწორდა. მაგალითად, ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობითი ნაწილიდან ამოღებულ იქნა სილაბუსებში გაწერილ წინაპირობებთან შუსაბამო ჩანაწერი. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს დაფიქსირდა მცირე ტექნიკური შენიშვნებიც, რომლებიც ასევე ადგილზე გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები ექსპერტის ან დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიულ კოლეჯ-მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიისთვის მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიულ კოლეჯ-მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიისთვის ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს პროფესიულ კოლეჯ-მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემიას (ს/კ: 404935273) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45

8. შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკატერინე გიგაშვილმა. ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას უკვე მოპოვებული ჰქონდა შვიდი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და სურდა მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, დაწესებულების მიმართ მათ ჰქონდათ მხოლოდ ერთი შენიშვნა, რომელიც ადგილზევე გამოსწორდა. მისი თქმით, შენიშვნა შეეხებოდა დაწესებულების მიერ საწარმო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, დადებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ ხარვეზს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები ექსპერტის ან დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისთვის მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტს (ს/კ: 406071691) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მოლარის (ბანკის და ა.შ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	მოლარის (ბანკის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

9. შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა წარადგინა ეკა ლუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის შენიშვნები:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 სტუდენტის დატვირთვაში, რომელიც კრედიტებსა და შესაბამის ასტრონომიულ საათებში იყო გამოსახული, შეყვანილია იყო განმეორებითი გამოცდის დატვირთა, რომელსაც საერთო დატვირთვაში მინიჭებული აქვს 1 ასტრონომიული საათი. აღნიშნული არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N121/ნ ბრძანებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". პროგრამებში განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმინობა/დატვირთვა არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N121/ნ ბრძანებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". კერძოდ:

ა) კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

წარმდოგენილ პროგრამებში პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავდა: ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას; პრაქტიკულ მეცადინეობას; დამოუკიდებელ მუშაობას; პრაქტიკას; გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) ჩაბარებას, პრეზენტაციას.ს წარმოდგენილ პროგრამებში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N121/ნ ბრძანებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". კერძოდ:

ა) „დასწრება, აქტიურობა - 5-5 ქულა" შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად შესაძლებელი იყო, მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, შესაბამისად მისი დასწრება არ შეიძლებოდა შეფასებულ ყოფილიყო. გარდა ამისა აქტიურობისათვის მინიჭებული 5 ქულა არ არის ჩაშლილი. I და II შუალედურ შეფასებას - 25-25 ქულა;

ბ) შუალედური გამოცდის შეფასება - მაქსიმალური 25 ქულა. სამუშაო მოიცავდა ორ კომპონენტს: ტესტი (ღია/დახურული კითხვებით-15 ქულა) და პრეზენტაცია (10 ქულა).

გ) შუალედური შეფასების ქულები შემდგენაირად ნაწილდებოდა:

დ) 17-25 ქულა - სამუშაო შესრულებულია სრულად. არ რჩება საკითხი პასუხის გაცემის გარეშე; პრეზენტაცია მოიცავს საკითხს მთლიანად, გამოყენებულია საილუსტრაციო (ნახაზები, სლაიდები და სხვა) მასალა; გამოყენებულია დარგისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია

ე) 9-16 ქულა - სამუშაო შესრულებულია ნაწილობრივ, პრეზენტაციაში სტუდენტი ვერ ახერხებს საკითხის მთლიან გაშლას, პასუხი ძირითადადბუნდოვანია.

0-8 ქულა - პასუხი მწირია, არ ესმის ძირითადი საკითხები, ბუნდოვანია მეორეხარისხოვანი საკითხებზე წარმოდგენა.

შენიშვნა: წარმოდგენილი შუალედური შეფასება მოიცავდა ორ კომპონენტს (ტესტი -15 ქულა პრეზენტაცია - 10 ქულა), თუმცა ქვემოთ მოცემული ქულათა რანჟირებით არ ხდება თითოეული კომპონენტის ქულათა ჩაშლა, არამედ მოცმეული იყო 25 ქულიანი შეფასების რანჟირება, ეს ვერ უზრუნველყოფდა პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის გამჭვირვალედ შეფასებას.

ვ) „დასკვნით გამოცდის შეფასებას - 40 ქულა; კომბინირებული (წერა/ზეპირი) ამასთანავე მინიჭებული ქულები ჩაშლილი იყო შემდეგი ფორმით:

დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა: კომბინირებული (წერითი 20 და ზეპირი 20 ქულა), სულ 40 ქულა. წერითი და ზეპირი გამოცდისშეფასებისთვის ქულები ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

ა) 15-20 ქულა - ზედმიწევნით ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს; ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; ამომწურავად პასუხობს დასმულ და დამატებით კითხვებზე (ზეპირი და წერითი გამოცდის შემთხვევაში); აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი; იცნობს უახლეს ლიტერატურასა და დამატებით ინტერნეტ-მასალას;

ბ) 10-14 ქულა - ღრმად ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებში; აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურის დიდი ნაწილი; ზუსტად პასუხობს დამატებით კითხვებზე; აზროვნებს დამოუკიდებლად და სრულყოფილად გადმოსცემს პროგრამულ მასალას.

გ) 3-9 ქულა - დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამულ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა, იცნობს დამხმარე წყაროებს,

დ) პასუხობს დამატებით კითხვებზე; წერილობით აყალიბებს ძირითად პროგრამულ მასალას. უშვებს შეცდომებს, იბნევა საკითხების თხრობის დროს, წერილობითი კომუნიკაცია დაბალია;

ე) 0-3 ქულა - პროგრამას ვერ ფლობს; ვერ პასუხობს მარტივ საკითხებზეც კი; წერილობითი კომუნიკაცია არ უვარგა; უშვებს შეცდომებს“. შენიშვნა: დასკვნითი გამოცდის წერითი და ზეპირი კომპონენტების შეფასების სისტემა იდენტურია, როგორც შინაარსობივად ასევე ქულათა გრადაციით, შესაბამისად ვერ უზუნველყოფს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის გამჭვირვალედ შეფასებას.

წარმოდგენილი ორივე პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსების შეფასების სისტემა იდენტური იყო, გარდა ამისა პრაქტიკის სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემის თანახმად არ ფასდებოდა სასწავლო კურსის მიხედვით სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები. კერძოდ შეფასების სისტემა ფორმულირებული იყო შემდეგი სახით:

1) „შუალედური გამოცდის შეფასება-60 ქულა

საწარმოო პრაქტიკის კურსი ფასდება სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის შესაბამისად, შემდეგი კომპონენტებით:

ა) გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა
და შედეგებს – 10 ქულა;

ბ) პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე – 20 ქულა;

გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქმიანობა საწარმოო პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარა პროფესიული კომპეტენციები) – 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა/საჯარო პრეზენტაცია - 40 ქულა

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

ა) ფორმალური მხარე (ფორმატი): რეგლამენტის დაცვა,მასალები, გაფორმების ვიზუალური მხარე და სხვა -10 ქულა;

ბ) შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათ არგუმენტირებული დასაბუთება - 20 ქულა;

გ) პრეზენტაციის ტექნოლოგია ანუ კონტაქტი აუდიტორიასთან- 10 ქულა"

წარმოდგენილ პროგრამების პრაქტიკის სილაბუსებში დაფიქსირდა შემდეგი შეუსაბამობები:

ოფისის მენეჯერის პრაქტიკა - I სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით პრაქტიკის გავლის წინაპირობაა საქმისწარმოება - I (თეორიული ნაწილი) (თუმცა ეს სასწავლო კურსი პროგრამაშიც და შესაბამის სილაბუსშიც დასახელებულია, როგორც საქმისწარმოების საფუძვლები - I) :

1. საქმისწარმოების საფუძვლები - I- ის სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო კურსის ხანგრძლივობად მითითებული იყო - 6 კვირა, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსიდან დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს I-VI კვირის ჩათვლით, შემდეგ არის წყვეტა და დასკვნითი გამოცდები ტარდებოდა მე-16 და მე-17 კვირაში, ხოლო განმეორებითი გამოცდა მე-19 კვირას. აქედან გამომდინარე ეს სასწავლო კურსი ვერ იქნება პრაქტიკა ერთის წინაპირობა, რომლის სწავლებაც იწყება მე-6 კვირაში და სრულდება მე-15 კვირაში;

2. პრაქტიკა 2-ის წინაპირობა იყო საქმისწარმოება 2. სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო კურსის ხანგრძლივობა მითითებულია - 6 კვირა, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსიდან დგინდებოდა, რომ სწავლება მიმდინარეობს I-VI კვირის ჩათლით, შემდეგ არის წყვეტა და დასკვნითი გამოცდები ტარდება მე-16 და მე-17 კვირაში, ხოლო განმეორებითი გამოცდა მე-19 კვირას. აქედან გამომდინარე, ეს სასწავლო კურსი ვერ იქნება პრაქტიკა ერთის წინაპიორბა, რომლის სწავლებაც იწყებოდა მე-6 კვირაში და სრულდება მე-18 კვირაში;

მცირე ბიზნესის მწარმოებელი მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. პრაქტიკა - I სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით პრაქტიკის გავლის წინაპირობას წარმოადგენდა მცირე ბიზნესის საფუძვლები, სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო კურსის ხანგრძლივობა მითითებულია - 8 კვირა, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსიდან დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს I-VIII კვირის ჩათლით, შემდეგ იყო წყვეტა და დასკვნითი გამოცდები ტარდება მე-16 და მე-17 კვირაში, ხოლო განმორებითი გამოცდა მე-19 კვირას. აქედან გამომდინარე, ეს სასწავლო კურსი ვერ იქნებოდა პრაქტიკა ერთის წინაპირობა, რომლის სწავლებაც იწყება მე-8 კვირაში და სრულდება მე-15 კვირაში;

2. პრაქტიკა 2-ის წინაპირობა იყო საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის მაპროფილებელი საგნების გავლა. თუმცა პროგრამაში არ იყო მოცემული დეფინიცია მაპროფილებელი საგნების, შესაბამისად ვერ დგინდებოდა რომელი სასწავლო კურსების ათვისების შემდეგ მიეცემა პროფესიულ სტუდენტს უფლება გაიაროს პრაქტიკა 2. გამომდინარე აქედან აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობა გაურკვევლია.

3. 6.ექსპერტების აზრით, პროგრამების სწავლის შედეგების რუქაზე სხვადასხვა სასწავლო კურსებისთვის სწავლის შედეგების დაფიქსირება არ იყო ბოლომდე გააზრებული. სწავლის შედეგების რუქაზე არ იყო დაფიქსირებული ყველა ის კომპეტენცია, რომელსაც სტუდენტი შეიძენს

ამა თუ იმ სასწავლო კურსის გავლის შედეგად, ასე მაგალითად, ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, სასწავლო კურსისთვის „ინგლისური ენა“ აღნიშნულია მხოლოდ "კომუნიკაციის უნარი“ და არ იყო დაფიქსირებული „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“, მაშინ როდესაც შესაბამის პროფესიულ სტანდარტში მითითებული იყო, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია „უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება“. ანალოგიური სიტუაციაა სხვა პროგრამაში წარმოდგენილ „ინგლისური ენის“ სილაბუსებთან მიმართებაში.

1.2 დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის 2014 წლის 28 მაისის N 02/01-13 ბრძანებით. კატალოგში წარმოდგენილი იყო ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების მისია და მიზნები, დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლიობა, სწავლების ენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული პროგრამის მიზანი, დასაქმების სფერო, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება. წარმოდგენილ კატალოგში ჩამოთვლილი იყო პროგრამები, მათ შორის მცირე ბიზნესის მე-4 საფეხურისა და ოფისის მენეჯრის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამა. თუმცა არ იყო მითითებული რომ აღნიშნულ პროგრამების განხორციელებას დაწესებულება გეგმავდა შესაბამისი უფლების მოპოვების შემთხვევაში.

1.3 დაწესებულებაში შემუშავებული იყო დირექტორის 2013 წლის 29.07 #02/01-23 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“, რომელშიც წარმოდგენილი იყო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“ ექსპერტემბა დაადგინეს, რომ:

1. აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლის, პუნქტი 2.1-ს შესაბამისად „ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის მოტივით, ან მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა“. ექსპერტებმა გადაამოწმეს დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმა, რომელშიც არ იყო დაკონკრეტებული რომელი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შეუჩერდებოდა სტუდენტს სტატუსი.

2. ამავე ხელშეკრულების შესაბამისად დაწესებულება იღებდა ვალდებულებას „შეუქმნას პროფესიულ სტუდენტს საუკეთესო პირობები და დამოუკიდებელი კვლევისთვის“, რაც არ შეესაბამება პროფესიული განათლების შინაარსსა და მიზნებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სტრატეგიული განვითარების გეგმაში არ იყო წარმოდგენილი მიზნების რეალიზაციის მკაფიო და დამაჯერებელი გზები, არ იყო დაფიქსირებული შესრულების ვადები, ინდიკატორები, რისკები, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდები და გზები. გეგმაში აღნიშნული კომპონენტების წარმოდგენა გაამარტივებდა დასახული მიზნების და ამოცანების შესრულების შემოწმებას.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1თუმცა პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის შრომის შინაგანაწესის მე-7 მუხლის პუნქტი 7.3 თანახმად

კოლეჯში სამუშაოდ არ მიიღება პირი, თუ იგი: „ ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს გაქარწყლებული; სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედითუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შეაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; .სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებდა მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს. პროფესიული სწავლების მასწავლებელთა პირად საქმეებში აღნიშნული მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები არ აღმოჩნდა. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ იყო შესაბამისი წესით დამოწმებული.

3.2 ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა „სამუშაო ადგილი" არცერთ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში არ იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში ფიქსირდებოდა ჩანაწეერი, რომ შრომის შინაგანაწესი წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, თუმცა პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი პერსონალის მიერ შინაგანაწესის გაცნობის დამადასტურებლი დოკუმენტი.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ ახორციელებდა კოლეჯი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს და როგორ ჰქონდათ გაწერილი სხვა პროგრამები და შეფასების წესი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული შეფასების წესით ხელმძღვანელობდა კოლეჯი უკვე სამი წლის მანძილზე და შეფასების ყველა კომპონენტი იყო გაშლილი.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ რომ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი ხარვეზებით, კოლეჯი იყენებდა რა აღნიშნულ შეფასების წესს არღვევდა მინისტრის ბრძანებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა ფუნდამენტალური პრინციპები მოყვანილი იყო შესაბამისობაში სტანდარტთან, თუმცა ასევე იყო უზუსტობა პრეზენტაციასთან დაკავშირებით რაც არ იძლეოდა იმის საფუველს რომ ეღიარებინათ მთელი სასწავლო პროგრამა სტანდარტებთან შეუსაბამოდ. მან ასევე დაამატა, რომ შედეგების რუკაში მოყვანილი ყველა კომპონენტი იდენტური იყო განათლების მინისტრის ბრძანებასთან, მხოლოდ სიტყვა პრეზენტაცია წარმოადგენდა მექანიკურ შეცდომას.

სხვა შენიშვნებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომდგენელმა განაცხადა, რომ 2012 წელს აკრედიტაციის მიღების პროცესში, არსეობდა შენიშვნები შეფასების კრიტერიუმთან დაკავშირებით და ამ ხარვეზების გამოსწორების შედეგად 2012 წლიდან მოყოლებული კოლეჯს ჩამოუყალიბდა არსებული შეფასების სისტემა. მისი თქმით, ერთადერთი ხარვეზი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის, რომ ქულები დეტალურად არ იყო გათვლილი. თუმცა აუცილებლად გათვალისწინებულ იქნებოდა ექსპერტების რეკომენდაცია გამჭვირვალობასთან და დეტალურად წარმოდგენასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯს გააჩნდა იდეალური მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, ლექტორებად დასაქმებულები იყვნენ საუკეთესო პროფესიონალები და ბევრი კურსდამთავრებული რეალურად დასაქმებული იყო.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა ლექტორების ასაკობრივი ზღვარით, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლექტორების საშუალო ასაკობრივი კატეგორია მერყეობდა იყვნენ 60-62 წელში, ლიტერატურა კი იყო ტექნიკური უნივერსიტეტის იდენტური.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებდნენ ყველა შენიშვნას რაც დასკვნაში იყო დაფიქსირებული.

ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა, თუ ისწავლებოდა ტექნიკური ინგლისური, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რომ გათვალისწინებული იყო რამდენიმე

ლექცია სადაც ასწავლიდნენ ტერმინოლოგიებს ტექნოლოგიების თაობაზე და ინგლისური ენის პროგარამა ჯდებოდა ჩარჩოებში და გამომდინარეობდა რეალობიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ჯაყელმა განაცხადა, რომ მეტი პასუხისმგებლობით უნდა გაწერილიყო ის მარტივი დოკუმენტები, რომლითაც არაერთი ადამიანი ისარგებლებდა და გაივლიდა სწავლებას. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნულ შენიშვნებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ნაწილობრივ ეთანხმებოდნენ ექსპერტების შენიშვნებს და გამოასწორეს და ყველა პროგრამა. მან აღნიშნა, რომ აქცენტი კეთდებოდა სასწავლო პროცესზე და დოკუმენტაციაში გაწერილი ნიუანსები გაეპარათ. მან მადლობელი გამოტქვა ექსპერტების მიმართ, რომლებმაც მიუთითეს შენიშვნებზე.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ იკითხა თუ რამდენი სტუდენტი მიიღეს რაზეც დაწესებულების წარმომდგენელმა განაცხადა, კოლეჯში სულ 160 პროფესიული სტუდენტი იყო, 120 სენაკში და 60 თბილისში.

ექსპერტმა ეკა ლიუაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახულ იქნა დეტალურად ფაქტობრივი მდგომარეობა და აღწერილი იქნა ყველა შენიშვნა და პრობლემა. ამ ეტაპზე ექსპერტები ვერ დაადასტურებდნენ სიტუაციის სრულად გამოსწორებას.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ მიმართა ექსპერტს, რომ იგი დარწმუნებული იყო რომ კოლეჯი მართლაც მოახერხებდა 1 კვირაში შენიშვნების გასწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები ექსპერტის ან დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 400034752) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	IV	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

10. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ ვალიშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამული ნაწილის შემოწმებისას გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც შეეხებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებს. კერძოდ,

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 სილაბუსში ,,გალენური პრეპარატების ტექნოლოგია" დაშვებული იყო უზუსტობა, კერძოდ ჯამური საათების რაოდენობა შეადგენდა 75 საათს (3 კრედიტს). სასწავლო გეგმის მიხედვით ამ საგანზე გამოყოფილი იყო 4 კრედიტი (100 საათი). უნდა აღინიშნოს რომ ჩაშლილი საათების ჯამი სილაბუსის მიხედვით უდრდა 100 (4 კრედიტს).

1.2 სილაბუსში ,, ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა და წამლის დიზაინი „ ჯამური კრედიტების რაოდენობა შეადგენდა 3 -ს (75 საათი): 15 ლექცია, 13-სამუშაო ჯგუფში მუშაობა, 5-გამოცდების ჩასაბარებლად, 17-დამოუკიდებელი სამუშაო ; თუმცა სასწავლო გეგმის მიხედვით ამ საგანზე გამოყოფილი იყო მხოლოდ 2 კრედიტი (სულ 50 საათი): ლექცია 15 საათი , სამუშაო ჯგუფში მუშაობა 13 საათი, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა -5 სთ, დამოუკიდებელი მუშაობა - 42 საათი.

1.3 საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში არ იყო მითითებული საწარმოო პრაქტიკის გავლის ადგილი. ანალოგიური ხარვეზები ფიქსირდებოდა კრიმინალისტის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში თუმცა საერთო ჯამური საათები პროგრამაში კრედიტების შესაბამისი იყო.

1.4 საათების განაწილება სილაბუსის და სასწავლო გეგმის მიხედვით არ ემთხვეოდა ერთმანეთს ,,უსაფრთხოების წესები" სილაბუსის მიხედვით 43 საკონტაქტო საათი გათვალისწინებული იყო მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობებზე, თუმცა სასწავლო გეგმის მიხედვით საკონტაქტო საათების განაწილება ამ საგნაზე სხვაგვარი იყო: 13 საათი ეთმობა ლექციებს, 13 საათი პრაქტიკულ მეცადინეობებს.

1.5 სისხლის სამსართლის პროცესი (კრიმინალისტიკასთან მიმართებაში) საათების რაოდენობა სილაბუსებსა და სასწავლო გეგმაში არ ემთხვეოდა ერთმანეთს . ასევე ბუნდოვანი იყო შეფასების სისტემა, მკვერად არ ჩანდა თუ რა შემთხვევაში ჰქონდა სტუდენტს ათვისებული საგანი და ჩათვლილი კრედიტი. სილაბუსების მიხედვით პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭებოდა თუ ქულების საერთო ჯამი შეადგენს 51 ქულას, მაგრამ ამავდროულად იგივე სილაბუსის თანახმად დასკვნითი გამოცდა (40 ქულა) ტარდება ტესტირებით და ტესტი

დადებიტად ფასდებოდა თუ პროფესიული სტუდენტი აგროვებს ქულათა ნახევარზე მეტს (20-ზე მეტს). ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს ორი დათქმა კი ურთიერთგამომრიცხავი იყო.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა დასამატებელ პროფესიულ პროგრამებთან შესაბამისი მატერიალური რესურსი და დაწესებულება ფლობდა ლაბორატორიას, რომელიც გამოიყენებოდა ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამისათვის. უფლების მოპოვების შემთხვევაში, ცალკეული ლაბორატორიული დანადგარები და ხელსაწყოები შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამის პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად, საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს ,,გორიფარმასთან". კრიმინალისტიკის ლაბორატორია დაწესებულებას არ გააჩნდა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი თავად ფლობდა პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ყველა რესურსს, პრაქტიკის კომპონენტს კი სტუდენტები გაივლიდნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში. თბილისში, საწარმოო პრაქტიკის კომპინენტის შეუფერხებლად განხორციელებისათვის დაწესებულებას ხელშეკრულება გაფრმებული ჰქონდა ფიზიკურ პირთან სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების შესახებ და მცირე ტიპის სასტუმროსთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამის დამდასტურებელი ხელშეკრულება დაწესებულებას არ წარმოუდგენია და დაამატა, რომ თბილისში საწარმოო პრაქტიკის შეუფერხებლად განხორციელებისათვის, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ფიზიკურ პირთან - სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების შესახებ და მცირე ტიპის სასტუმროსთან.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსებში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომები და შინაარსობრივად საათები ემთხვეოდა პროგრამით გაწერილ მოთხოვნებს. რაც შეეხება შეფასების სისტემას, მისი თქმით 51 ქულა იყო შუალედური და დასკვნით გამოცდის მინიმალური შეფასების ზღვარი და ის რომ სავალდებულო კომპონენტად უნდა გაირონ ნახევარი, მაინც დასკვნითი გამოცდიდან, დადგენილ მოთხოვნას წარმოადგენდა.

აღნიშნულტან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო სილაბუსებში იმასთან დაკავშირებით, რომ დასკვნით გამოცდაში ნახევარზე მეტი ქულის მოპოვება სავალდებულო იყო და ასეთი ჩანაწერი მათ მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში არ ფიქსირდებოდა.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, შეფასების 100 ქულიანი სისტემიდან, 40 ქულა თუ დასკვნით გამოცდას ეთმობოდა, 30 ქულა შუალედურ გამოცდას, დანარჩენი ქულები როგორ ნაწილდებოდა და თუ აფასებდნენ დაწესებულებაში სემინარულ მუშაობას. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დარჩენილი ქულები ნაწილდება დისკუსიებზე, დასწრებაზე, პრაქტიკულ და ჯგუფში მუშაობაზე.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ დაწესებულების რეკომენდაცია მისცვა ეს 30 ქულა კომპონენტებად ჩაეშალათ და დეტალურად გაეწერათ.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ რეკომენდაცია მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს სიტყვა ,,დასწრება" შეცვალონ სიტყვა ,,აქტიურობით" შეფასების სიტემაში.

დაწესებულების წარმომადგენელი გამოეხმაურა ექსპერტის შენიშვნას და განმარტა, რომ საწარმოო პრაქტიკის ადგილი მითითებული არ იყო სილაბუსში, მაგრამ მითითებული იყო პროგრამაში.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ

ნამდვილად დადებული ჰქონდათ ხელშეკრულება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან, ფიზიკურ პირთან - სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების შესახებ და სასტუმროსთან.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, გორიდან თბილისში ტრანსპორტირების, სასტურმოსა და კვების ხარჯების ანაზღაურების საკითხით. მოუწევდათ თუ არა სტუდენტებს დამატებითი ხარჯების გაწევა თუ თავად საგანმანათლებლო დაწესებულება აანაზღაურებს ამ ხარჯებს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველანაირ ხარჯებს ისინი აანაზღაურებენ. მათი თქმით, დასაწყისში შესაძლოა წაგებაზეც წავიდნენ და მათ უღირთ ეს რისკი, მომავალში სტუდენტების რაოდენობის მომატების საფასურად.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, თუ რატომ არ ფიქრობდნენ დაწესებულების წარმომადენლები, ადგილზევე უზრუნველეყოთ საწარმოო პრაქტიკით კრიმინალისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. მით უფრო, რომ აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი თავად ფლობდა პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ყველა რესურსს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკის კომპონენტისათვის აუცილებელი იყო ლაბორატორია, რომელიც გორში არ მდებარეობდა, ამიტომაც გაფორმდა მემორანდუმი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან. ამასთან, მათი თქმით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 112-თან და ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, მათთანაც მოხდებოდა მემორანდუმის დადება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები ექსპერტის ან დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისთვის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერისთვის კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერს (ს/კ: 417880092) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	V	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
2	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

11. შპს ბარაკონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა. მისი განცხადებით, ექსპერტები ინფორმირებულები იყვნენ საბჭოს ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, მაგრამ გაურკვეველ მიზეზთა გამო არ გამოცხადდნენ. მან ჩამოთვალა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის განხორციელების უფლების მოპოვება სურდა დაწესებულებას. ცენტრის თანამშრომლის თქმით, ექსპერტთა დასკვნა დადებითია, არ გამოვლენილა ხარვეზები და მათ არ ჰქონიათ შენიშვნები დაწესებულების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები ექსპერტის ან დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონისთვის ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონისათვის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ბარაკონს (ს/კ: 204877231) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	V	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
2	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

12. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნატალია ბარათელმა. მან ჩამოთვალა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის განხორციელების უფლების მოპოვება სურდა დაწესებულებას. ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზი, სტანდარტების მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო. ექსპერტებს არ ჰქონდათ შენიშვნები დაწესებულების მიმართ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული ნაწილი ტარდება მათ დაწესებულებაში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი საქართველოს ტექიკურ უნივერსიტეტში, მათთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები ექსპერტის ან დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარის, ქეთევან ჯაყელის განცხადებით, ისეთი საკითხების გაწერა, როგორიცაა სილაბუსები და შეფასების სისტემა, უფრო ყურადღებით უნდა მოხდეს - სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. საბჭოს თავმჯდომარემ, იმედი გამოთქვა, რომ მომავალში მსგავსი შენიშვნები აღარ ექნებათ დაწესებულების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნისთვის“ ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნისთვის“ კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „XXI საუკუნეს“ (ს/კ: 404925328) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთა დასრულების შემდეგ, 21:45 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე